

შემადგენლობისგან დამოუკიდებლად) ხდის გარიგებას კა-
ნონის დანაწესის/აკრძალვის, საჯარო წესრიგის ან ზნეობის
ნორმების საწინააღმდეგოს.

ნინო ქავშბაია

**არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი წუნდებული
პროდუქტის მიწოდებისას**

დამდგარ ზიანში ბრალის არარსებობისა და
საპირისპირო გარემოების დამტკიცების ტვირთი მასზედ,
რომ ზიანი გამოწვეული იყო არა მიწოდებული პროდუქტის
უხარისხობით, არამედ - სხვა გარემოებით, ეკისრება
ზიანის მიმყენებელს.

სკ-ის 408, 409, 992, 1009, 1011-ე მუხლები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 6
მარტის გადაწყვეტილება №2ბ/3167-13

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ნინო ქავშბაია

მოსარჩელის ელექტროქსელში მომხდარი ავარიის შე-
დეგად მწყობრიდან გამოვიდა ელექტროქსელი, მრიცხვე-
ლი და ელექტროტექნიკური მოწყობილობები. მოსარჩელე
ელექტროენერგით მარაგდებოდა მოპასუხის მიერ. მოსა-
რჩელემ აღძრა სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ და მოი-
თხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება ინტერნეტ-მოდე-
მის, ელექტროტექნიკური მოწყობილობებისა და მრიცხვე-
ლის საბალანსო ღირებულების ოდენობით. მოპასუხემ სა-
რჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ელექტროქსელში მო-
მხდარი ავარია გამოწვეული არ არის მისი ბრალეული ქმე-
დებით. საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი
და განმარტა, რომ ამ მოცემულობაში იმის დადასტურება,
რომ მოსარჩელის კუთვნილი ელექტროტექნიკა დაზიანდა
არა მოპასუხის მიერ მიწოდებული ელექტროენერგის უხა-
რისხობით, არამედ მიწოდებული ძაბვის უკუსვლით მოძრა-
ობის მიზეზით, რაც გამოწვეული იყო მეტეოროლოგიური
ზემოქმედებით (მეხის ჩამოვარდნა), წარმოადგენდა მოპა-
სუხის მტკიცების ტვირთს. გადაწყვეტილება სააპელაციო
წესით გაასაჩივრა მოპასუხემ იმ არგუმენტაციით, რომ პი-
რველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა
მოპასუხის მიერ უხარისხო ელექტროენერგის მიწოდების
ფაქტი. სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გა-
რდა ამისა, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ზიანის
ოდენობა: მიყენებული ზიანი შეიძლება განისაზღვროს და-
ზიანებული ტექნიკის აღდგენაზე დახარჯული თანხების
პროპორციულად და არა - მათი ღირებულების მიხედვით.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს
გადაწყვეტილების გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების
მიღებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივა-
რი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩე-
ლე არაა ვალდებული, ამტკიცოს მიწოდებლის ბრალეუ-
ლობა პროდუქტის უხარისხობაში, როცა უკვე დადასტურე-
ბულია უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის შესახებ
გარემოება. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს მსჯელობა: დამდგარ ზიანში ბრალის არარსებო-
ბის მტკიცების ტვირთი და საპირისპირო გარემოების და-
მტკიცების ტვირთი მასზედ, რომ მოსარჩელის კუთვნილი
ელექტროტექნიკა დაზიანდა არა მოპასუხის მიერ მიწოდე-
ბული ელექტროენერგის უხარისხობით, არამედ მეტეო-
როლოგიური ზემოქმედებით (მეხის ჩამოვარდნა), ცალსა-
ხად ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც ვერ უზრუნველყო
დამდგარ ზიანში მისი მხრიდან ბრალეულობის არარსებო-
ბის დადასტურება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ
დადგენილად მიიჩნია ზიანის პირველი ინსტანციის გადა-
წყვეტილებისგან განსხვავებული (შემცირებული) ოდენობა,
რამაც მას საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საშუა-
ლება მისცა.

**მწარმოებლის პასუხისმგებლობა წუნდებული
პროდუქტისთვის**

1. მწარმოებელს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუ-
ფლებს ტექნიკური აღჭურვილობის სიძვირე ან/და იშვია-
თობა, რომლითაც შესაძლებელი იყო წარმოებული პრო-
დუქტის წუნის გამოვლენა პროდუქტის სარეალიზაციოდ გა-
ტანის მომენტისთვის.
2. ისეთი პროდუქციის რეალიზაციისას, რომლის ხარი-
სხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნი-
კის არსებული დონის გათვალისწინებით პრობლემურია,
მწარმოებელი ვალდებულია, მოხმარებელს მისცეს ინფო-
რმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით და გააფრთხილოს
სავარაუდო თანმდევ შედეგებზე, სკ-ის 318-ე მუხლის მი-
ხედვით.

სკ-ის 318, 413, 1009, 1010, 1011-ე მუხლები

სსკ-ის 105-ე მუხლი

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის
6 II მუხლი

უმენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის
განჩინება № ას-296-624-07